№ 10/253

„14" 08 2015

საბანკო გარანტია #2481-08/15

გარანტი:	სს „ბანკი ქართუ" (ს/კ 204891652)
ბენეფიციარი:	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (ს/კ 202178927)
პრინციპალი:	შპს "ჯი-ემ-პი" (ს/კ 211385268)
თანხა:	2,330.00 აშშ დოლარი

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 2015 წლის 07 აგვისტოს ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #35030212/10 – „C-ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვაზე (CPV კოდი 33600000) (შემდგომში „ხელშეკრულება"). აღნიშნული ხელშეკრულების პირობების თანახმად, პრინციპალის ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ბენეფიციარის მიერ მოთხოვნილია საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ის (ორი პროცენტი) ოდენობით. წინამდებარე საბანკო გარანტია უზრუნველყოფს ბენეფიციარის წინაშე პრინციპალის ვალდებულებების სათანადო შესრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და პრინციპალის თხოვნით, ჩვენ, სს „ბანკი ქართუ" (შემდგომში „გარანტი"), ვკისრულობთ გამოუთხოვად ვალდებულებას ყოველგვარი დაგვიანების გარეშე, ბენეფიციარის საგადახდო მოთხოვნის მიღების თარიღიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები რომელიც (რომლებიც) საერთო ჯამში არ აღემატება:

2,330.00 (ორიათასსამასოცდაათი და 00/100) აშშ დოლარის

ეკვივალენტ თანხას ლარში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

მოთხოვნა ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარდგენილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით და მოთხოვნილი თანხის მითითებით, სადაც აღწერილი იქნება პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების ფაქტი ან ფაქტები. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს წინამდებარე საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე საბანკო გარანტია ძალაშია **2015 წლის 02 ნოემბრის ჩათვლით.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, საგადახდო მოთხოვნის ორიგინალი წარდგენილი უნდა იყოს გარანტიის ვადის გასვლამდე შემდეგ მისამართზე: ს.ს. „ბანკი ქართუ", ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. #39ა.

საბანკო გარანტიის თანხა ავტომატურად შემცირდება გარანტის მიერ ბენეფიციარის საგადახდო მოთხოვნის საფუძველზე გადახდილი თანხების ოდენობით.

წინამდებარე საბანკო გარანტია ავტომატურად გაუქმდება: ა) ბენეფიციარის მიერ თავის უფლებებზე წერილობითი უარის წარმოდგენისა და/ან გარანტიის ორიგინალის დაბრუნებით გარანტისათვის; ბ) ამ საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.

ბენეფიციარის მოთხოვნის უფლების გადაცემა მესამე პირზე შესაძლებელია მხოლოდ გარანტის თანხმობით.

საბანკო გარანტიის გარშემო წარმოქმნილი ნებისმიერი დავის გადაჭრა მოხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

ზურაბ გოგუა

კომერციული დირექტორი

CARTU BANK 204891652